ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1614826

ნომერი: AR1267533

თარიღი : 21.11.2014

გაცემის თარიღი : 26.11.2014

გაცნობის თარიღი : 26.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , დავით აღმაშენებლის ქუჩა N4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან კერატიშვილი პ/ნ 01025012045
- თბილისი. დ/დიღომი მე-3 მ/რ. კ-2.ბინა-35

ორგანიზაცია:
- შპს ვაზი კოდი: 204859180

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 21/11/2014წ. #AR1267533 განაცხადით მომართა ლევან კერატიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 01.11.2013 წ. #976548 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 01.11.2013 წ. #976548 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (წყნეთი), დაბა წყნეთში, დავით აღმაშენებლის ქ. #4-ში, შპს „ვაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა შერეული ფუქციის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 03.06.2014წ. #1295506 ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ვაზი".

განმცხადებლის განმარტებით, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, სამსახურს მომართავს დამკვეთის, შპს "ვაზის" ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორი ლევან კერატიშვილი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13047168, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/05/2013 10:58:06) და ითხოვს შევიდეს ცვლილება სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებაში და მიეთითოს: კომერციული ფართობი (კვ.მ).: 204.6, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 699.1, საერთო ფართობი (კვ.მ).: 1088.2.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი (კვ.მ).: 204.6, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 699.1, საერთო ფართობი (კვ.მ).: 1088.2, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2013წ. #976548 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.